თინათინ თიაბაშვილი

იუნგიანელი ანალიტიკოსი

როდის გადადის ინდივიდუალური სიზმარი სოციალურ განზომილებაში: იუნგიანური პერსპექტივა

„გამეღვიძა — ოფლში ვცურავდი, კრიჭა შემკვროდა. უკვე მერამდენედ მესიზმრა, რომ მომდევენ, მესვრიან, მაწამებენ, სასტიკად მისწორდებიან. თუმცა ამ ღამეს, სხვა მრავალი ღამისგან განსხვავებით, ფიქრმა გამიელვა: ნუთუ მხოლოდ მე მესიზმრება ასეთი კოშმარები? იქნებ სხვების სიზმრებიც სავსეა მსგავსი სცენებით. ათასებიდან იქნებ ერთ-ერთი ვარ, ვინც დიქტატურის გამო კოშმარებით იტანჯება. გადავწყვიტე, სხვებისთვისაც მეკითხა მათი სიზმრების შესახებ“ (Beradt, 1968, p. 1). ასე იწყებს თავის სტატიას *Dreams Under Dictatorship* გერმანელი ჟურნალისტი Charlotte Beradt-ი, რომელიც 1943 წელს ჟურნალ *Free World*-ში გამოქვეყნდა. შინაგან იმპულსს რეალური კვლევა მოჰყვა. 1933-1939 წლებში შარლოტ ბერადტმა დაახლოებით სამასი სიზმარი შეაგროვა. მასალა კოდირებული სახით ჩაიწერა და საიდუმლოდ ინახებოდა მის ბიბლიოთეკაში. ბევრი ინფორმანტი შიშის გამო ვერ ბედავდა სიზმრებზე ღიად საუბარს, ამიტომ კოდირების გამოყენება აუცილებელი გახდა. შემდეგ Beradt-მა ეს ჩანაწერები წერილების სახით სხვადასხვა მისამართზე, საზღვარგარეთ გააგზავნა, რათა ისინი უსაფრთხოდ შეენახა. მალევე თავადაც დატოვა გერმანია და 1939 წელს ნიუ-იორკში გადასახლდა. ემიგრაციაში, ჰანა არენდტთან და სხვა ბერლინელებთან ერთად, მათი წახალისებითა და მხარდაჭერით, 1966 წელს გადაწყვიტა, რომ ეს უნიკალური მასალა წიგნის სახით გამოეცა სახელწოდებით *The Third Reich of Dreams: The Nightmares of a Nation* (Beradt,

1968). წიგნი შემდეგი სიზმრით იწყება: “იოზეფ გებელსი ეწვია ჩემ ფაბრიკას. მუშები ერთმანეთის პირისპირ ორ რიგად ჩამწკრივდნენ. მე შუაში უნდა დავმდგარიყავი და ნაცისტური ჟესტით მივსალმებოდი მას. თითქმის ნახევარი საათი დამჭირდა, რომ ხელი ამეწია - ნელ-ნელა, მძმედ, თითქოს ძალით ვწევდი. გებელსი არაფერს ამბობდა. თითქოს ეს ყველაფერი წარმოდგენა ან თამაში იყო. როდესაც ბოლოს და ბოლოს მოვახერხე და ხელი ავწიე, მან მხოლოდ ხუთი სიტყვა თქვა: „მე არ მინდა შენი სალამი.“ შებრუნდა და კარისკენ წავიდა. ვდგავარ ჩემსავე ფაბრიკაში, ხელაწეული და გაშეშებული, ჩემი მუშების წინაშე. კოლაფსისგან მხოლოდ იმან გადამარჩინა, რომ მივშტერებოდი მის ავადმყოფ ფეხს — როგორ კოჭლობით ტოვებდა შენობას. ასე ვიდექი, სანამ არ გამეღვიძა.” ეს სიზმარი სამოცი წლის ფაბრიკის მესაკუთრეს 1933 წელს ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლამდე სამი დღით ადრე ესიზმრა. სიზმარმა განმეორებითი ხასიათი მიიღო: მას ესიზმრებოდა, თუ როგორ სწევდა ხელს და ამ დროს მისი ხერხემალი როგორ იმსხვრეოდა. ბერადი წერს, რომ ამ სიზმარში მკაფიოდ იკვეთება ის მძიმე ფსიქოლოგიური წნეხი, რომელსაც ინდივიდები ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში განიცდიდნენ - წნეხი, რომელიც საბოლოოდ იწვევდა გაუცხოებას, იზოლაციას, იდენტობის რღვევას, შინაგან დეზორიენტაციას და დისლოკაციას.

აღსანიშნავია, რომ წიგნში ძირითადად წარმოდგენილია ებრაელთა სიზმრები, თუმცა ასევე გვხვდება იმ არაებრაელთა სიზმრებიც, რომლებიც რეჟიმის ტერორის ქვეშ იმყოფებოდნენ ზოგჯერ მხოლოდ ისეთი „ნიშნების“ გამო, როგორიც იყო შავი თმა და საეჭვოდ დიდი ცხვირი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1933–1934 წლებში ჩაწერილ სიზმრებში გვხვდება ისეთი დეტალები, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ რეალობად იქცა - მათ შორის მასიური დაპატიმრებები და საკონცენტრაციო ბანაკები.

ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ მას არ შეუგროვებია ჰიტლერის რეჟიმის ენთუზიასტი მხარდამჭერების სიზმრები, რადგან, როგორც თავად წერს, მათ არ

ენდობოდა და მათთან ახლო კონტაქტიც არ ჰქონდა (Beradt, 1968). მოგვიანებით არაერთმა მკვლევარმა შენიშნა, რომ ეს გარემოება გარკვეულ მეთოდოლოგიურ შეზღუდვას ქმნის, რადგან შეგროვებული მასალა არ გვაძლევს შესაძლებლობას, ერთმანეთს შევადაროთ რეჟიმის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა სიზმრები.(Lang, 2017).

Charlotte Beradt-ის მთავარი მიზანი იყო ეჩვენებინა, თუ რა გავლენას ახდენს ტოტალიტარული რეჟიმი ადამიანთა შინაგან სამყაროზე. სწორედ ამიტომ მან შეგნებულად შეარჩია ისეთი სიზმრები, რომლებიც ამ გავლენას ყველაზე ნათლად ასახავდა; რომ რეჟიმის ტოტალიტარული ტენდენციები ხშირად ჯერ სიზმრებში, ანუ ფსიქიკურ რეალობაში იჩენს თავს, მანამ სანამ ისინი ობიექტურ რეალობაში განხორციელდება და რომ სიზმარი არ მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ სოციალური ფენომენიც არის.

Beradt-ის წიგნი გახდა იმპულსი W. Gordon Lawrence-ისთვის, რომ სოციალური სიზმრის მატრიცის პრაქტიკა განავითარებინა. იმ პერიოდისთვის W. Gordon Lawrence-ი ჯგუფის ანალიტიკოსი და ორგანიზაციული კონსულტანტი იყო, რომელიც ლონდონში, ტავისტოკის ადამიანური ურთიერთობების ინსტიტუტში მუშაობდა. მისი ინტერესი იყო, შეესწავლა, რა შეიძლება გავიგოთ საზოგადოებაზე, თუ შევაგროვებთ და გავაანალიზებთ სიზმრებს. თუმცა ამ კონტექსტში ის არ მოიაზრებდა საზოგადოებას როგორც უკვე ჩამოყალიბებულ ისტორიულ ან სოციალურ ერთეულს - თავისი სტრუქტურებითა და მიმდინარე პროცესებით - არამედ საზოგადოებას, როგორც მუდმივად ფორმირების პროცესში მყოფს, (a society in a process of becoming), იმ გაგებით, თუ რა შეიძლება ის გახდეს მომავალში. როცა დაფიქრდა მეთოდოლოგიაზე, რომელიც ამ იდეის კვლევისთვის გამოადგებოდა, სიზმრის გაგების იუნგიანური პერსპექტივა აღმოჩნდა უფრო მისაღები.

როგორც ექსპერიმენტი, Lawrence-მა და მისმა კოლეგებმა 1982 წელს ტავისტოკის ადამიანური ურთიერთობების ინსტიტუტში შეიმუშავეს რვაკვირიანი

პროგრამა, რომელიც ოთხმოცდაათწუთიანი სესიებისგან შედგებოდა და სახელწოდებით *A Project in Social Dreaming and Creativity* ფუნქციონირებდა (Lawrence, 2005). მოგვიანებით ამ შეკრებებს „მატრიცა“ (*matrix*) უწოდეს - ლათინური სიტყვის მიხედვით, რომელიც აღნიშნავს ადგილს, საიდანაც რაღაც იბადება და იზრდება. ამ ცვლილების მიზანი იყო ყურადღების გადატანა თავად სიზმარზე და არა ინდივიდზე, ან იმ ტრანსფერულ დინამიკაზე, რომელიც, ჩვეულებრივ, ჯგუფურ პროცესებში ვითარდება.

საწყისი ექსპერიმენტის შემდეგ ექვსწლიანი პაუზა იყო. მოგვიანებით Lawrence-ს სთხოვეს, ორგანიზება გაეწია ისრაელში სასწავლო კონფერენციისთვის სახელწოდებით *Leadership and Innovation*. მან შექმნა პროგრამა, რომელიც დიალოგურ და საკონსულტაციო ჯგუფებთან ერთად სოციალური სიზმრის მატრიცასაც მოიცავდა, რომელსაც დღეში ორჯერ ატარებდნენ. სწორედ ამ პერიოდიდან დაიწყო სოციალური სიზმრის მატრიცის პრაქტიკის საერთაშორისო გავრცელება (Lawrence, 1998).

ეს პრაქტიკა იუნგიანურ საერთაშორისო კონგრესზე პირველად 1995 წელს ციურიხში იქნა წარმოდგენილი და მას შემდეგ იუნგიანური კონგრესების განუყოფელ ნაწილად იქცა. სოციალური სიზმრის თეორიისა და პრაქტიკის დეტალური განხილვა მოცემულია წიგნში *Introduction to Social Dreaming: Transforming Thinking* (Lawrence, 2005).

1925 წელს, ნაშრომში „სიზმრების ფსიქოლოგიის ზოგადი ასპექტები , C.G. Jung-მა სიზმარი განსაზღვრა, როგორც „მთლიანი ფსიქიკის (Self) მიმდინარე მდგომარეობის სპონტანური თვითგამოხატვა სიმბოლური ფორმით“ (Jung, 1971, §505). იუნგის მიხედვით, სიზმარი სათავეს იღებს თვითობიდან (Self) - ფსიქიკის ცენტრალური სუბსტანციისგან, რომელიც, ერთი მხრივ, მოიცავს ყველა ფსიქიკური ფუნქციის ერთობლიობას, ხოლო მეორე მხრივ, წარმართავს პიროვნების

განვითარებას ამ პოტენციური მთლიანობისკენ. ამ მოძრაობას თვითობიდან პიროვნების მთლიანობისკენ Jung-ი ინდივიდუაციის პროცესს უწოდებს. შესაბამისად, ყოველი სიზმარი წარმოადგენს ინდივიდუაციის პროცესის პოტენციურ საშენ მასალას, რომლის მეშვეობითაც თვითობა ცნობიერებას უგზავნის შეტყობინებას იმის შესახებ, თუ როგორ შეუძლია მას საკუთარი მთლიანობისკენ ორიენტირება (Roesler, 2025). Jung-ი ხშირად იყენებს ტერმინ „არაცნობიერს , როგორც თვითობის სინონიმს. Jung-ი აღნიშნავს, რომ ცნობიერებასა და არაცნობიერს შორის მუდმივად მოქმედებს თვითრეგულაციის კომპენსატორული მექანიზმი (Jung, 1971). ამ თვალსაზრისით, სიზმრის ძირითადი ფუნქცია კომპენსაციას უკავშირდება: ის ავსებს ცნობიერების ცალმხრივობას და ამატებს იმ შინაარსებს, რომლებიც ცნობიერ გამოცდილებაში არ იყო გათვალისწინებული ან საკმარისად გაცნობიერებული. ამ გზით სიზმარი ფსიქიკურ მთლიანობას ინარჩუნებს - ის არაცნობიერიდან აწვდის ცნობიერებას იმ ინფორმაციას, რომელიც ან ბალანსის აღდგენას ემსახურება, ან დისბალანსის გამოვლენას და კორექციის საჭიროებაზე მიუთითებს. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ყოველდღიურ ცხოვრებაში ზედმეტად რაციონალური, კონტროლზე ორიენტირებული და ემოციებისგან დისტანცირებულია, შესაძლოა თრგუნავდეს ემოციურობას, სისუსტესა და სპონტანურობას. მისი ცნობიერი პოზიცია შეიძლება ჩამოყალიბდეს როგორც: „უნდა ვიყო ძლიერი, უნდა ვაკონტროლო ყველაფერი, ემოციები ხელს მიშლის . ასეთ შემთხვევაში სიზმრებში ხშირად ჩნდება ემოციური შინაარსის სცენები, რომლებიც მიანიშნებს დათრგუნულ აფექტურ სფეროზე და სპონტანურობის საჭიროებაზე. საპირისპიროდ, სიზმარი შესაძლოა დისბალანსსაც ავლენდეს — მაგალითად, მოძრაობის შეჩერების, გზის დაკარგვის ან ვერ გაგრძელების მოტივებით, რაც მიუთითებს ფსიქიკური განვითარების ან არსებული პოზიციის კორექციის საჭიროებაზე. თუ ცნობიერი დამოკიდებულება აღარ შეესაბამება აუთენტურ შინაგან ბუნებას, პოტენციალს ან მდგომარეობას, მაგალითად, როდესაც ადამიანი ზედმეტად იდენტიფიცირებულია სოციალურ როლთან, ძალაუფლებასთან, ან პირიქით -

საკუთარ შესაძლებლობებს ვერ აცნობიერებს, ჩნდება შინაგანი „დისპროპორცია , ანუ განსხვავება იმას შორის, როგორ ცხოვრობს ადამიანი ცნობიერად და რა მიმართულებით ცდილობს მისი ფსიქიკა განვითარებას. Jung-ის მიხედვით, სწორედ ასეთ სიტუაციებში სიზმარი აღარ ასრულებს მხოლოდ კომპენსატორულ ფუნქციას, ანუ უბრალოდ არ აბალანსებს ცნობიერებას ვიწრო გაგებით, არამედ იწყებს პროსპექტულ ფუნქციონირებას: ის მიანიშნებს, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს ადამიანი, რა აკლია მის ცხოვრებას ან რა ცვლილებაა საჭირო უფრო ავთენტური არსებობისთვის. ამგვარად, სიზმრები მხოლოდ მიმდინარე მდგომარეობის ანარეკლი კი არ არის, არამედ განვითარების შესაძლო მიმართულებასაც აჩვენებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთ დროს სიზმარი პრობლემის უფრო ფართო და ღრმა ხედვის საშუალებას გვაძლევს და მიანიშნებს იმ პერსპექტივაზე, რომელიც ფსიქიკური კონფლიქტების დამუშავებასა და გამკლავებას უწყობს ხელს (Roesler, 2025). Jung-ს მოჰყავს ნაბუქოდონოსორის სიზმრის მაგალითი ბიბლიიდან, სადაც მეფეს ესიზმრება უზარმაზარი ხე, რომელიც მთელ დედამიწას ფარავს და რომლის ჩრდილშიც ყველა ცხოველი და ფრინველი აფარებს თავს. შემდეგ ზეციდან ისმის ხმა: „მოჭერით ხე , რის შედეგადაც ხე იჭრება და მხოლოდ მისი ძირი რჩება. ტექსტის მიხედვით, დანიელი ამ სიზმარს განმარტავს შემდეგნაირად: ხე თავად მეფეა, რომლის ქედმაღლობა დაინგრევა, ის დაკარგავს გონებას და „მხეცივით“ იცხოვრებს, სანამ საბოლოოდ კვლავ არ დაუბრუნდება ცნობიერ მდგომარეობას. იუნგიანური თვალსაზრისით, ეს სიზმარი წარმოადგენს კლასიკურ მაგალითს იმისა, თუ როგორ მოქმედებს სიზმრის კომპენსატორული და პროსპექტული ფუნქციები ერთდროულად. ერთი მხრივ, სიზმარი აბალანსებს მეფის გადაჭარბებულ ინფლაციას და ძალაუფლებრივ თვითიდენტიფიკაციას, ხოლო მეორე მხრივ, პროსპექტულად აჩვენებს ფსიქიკური კრიზისისა და შესაძლო ტრანსფორმაციის მიმართულებას (Jung, 1971). იუნგი ამ შემთხვევაში არ სვამს კითხვას, იწინასწარმეტყველა თუ არა სიზმარმა მომავალი. მისი ინტერპრეტაციით, სიზმარი არ არის წინასწარმეტყველება, არამედ ფსიქიკაში უკვე არსებული, თუმცა

ჯერ კიდევ არაცნობიერ დონეზე მოქმედი შინაგანი და კოლექტიური ტენდენციების სიმბოლური გამოხატულება, რომელიც ცნობიერებაში მოგვიანებით რეალიზდება (Jung, 1971).

ამდენად, Jung-ის მიხედვით, რაც უფრო ძლიერია დაძაბულობა ცნობიერ პოზიციასა და არაცნობიერის განვითარების მიმართულებას შორის, მით უფრო ინტენსიური და მაკორექტირებელია სიზმარი. თუ სიზმრის გზავნილი არ გაცნობიერდება და არ დამუშავდება, ერთი და იგივე თემები ხშირად მეორდება. ანალიტიკური მუშაობის პროცესში კი ეს განმეორებადი მოტივები თანდათან ქრება და მათ ადგილს ახალი თემები იკავებს, რაც ფსიქიკური განვითარების პროგრესზე მიუთითებს. სიზმრის ინტერპრეტაციისთვის იუნგმა შეიმუშავა ამპლიფიკაციის მეთოდი, რაც გულისხმობს სიზმრის სიმბოლოების დამუშავებას და გამდიდრებას მითოლოგიური პარალელებითაც, რათა უფრო მეტად მივუახლოვდეთ მათ მნიშვნელობას (Roesler, 2021).

Jung-ს მიაჩნდა, რომ ზოგჯერ სიზმრები არა მხოლოდ ინდივიდის, არამედ ეპოქის ფსიქიკურ მდგომარეობასაც გამოხატავს. სწორედ ამიტომ, კოლექტიური კრიზისების დროს - რომლებიც, იუნგის მიხედვით, ყოველთვის ერთგვარ ცალმხრიობას უკავშირდება - სიზმრებში ხშირად ჩნდება აპოკალიფსური და პრიმორდიალური მოტივები: ომის, დევნის, ნგრევის, წყალდიდობის, ცეცხლისა და ტოტალიტარული ძალის სიმბოლოები, როგორც კომპენსატორული ან პროსპექტული ფსიქიკური რეაქცია. Jung-ი წერს: „არსებობს სიზმრები, რომლებიც არ ეხება დამსიზმრებლის პირად პრობლემებს, არამედ ეხება კაცობრიობის დიდ კითხვებს. ასეთ სიზმრებს მე დიდ სიზმრებს ვუწოდებ. ისინი წარმოიშობიან კოლექტიური არაცნობიერიდან და ატარებენ არქეტიპულ ხასიათს. მათ აქვთ პროსპექტული ძალა, რადგან ისინი გამოხატავენ იმას, რაც ჯერ კიდევ არ არის გაცნობიერებული მთელი საზოგადოების მიერ“ (Jung, 1966, §273). ამრიგად, Jung-ის მიხედვით, კოლექტიური კრიზისების პერიოდში სიზმრები შეიძლება იქცეს არა მხოლოდ ინდივიდუალური

ფსიქიკის, არამედ ეპოქის არაცნობიერი პროცესების გამოხატულებად, რომლებიც წინ უსწრებს ცნობიერ სოციალურ გააზრებას.

სიზმრის პროსპექტული ფუნქციის თვალსაზრისით ვაჟა-ფშაველას პოემის „ალუდა ქეთელაურის“ მთავარი გმირის ალუდას სიზმარი, ინდივიდუალურ შიდაფსიქიკურ დინამიკასთან ერთად, კოლექტიურ ფსიქოლოგიურ მნიშვნელობასაც იძენს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ალუდას სიზმარზე საუბრისას საქმე არ გვაქვს რეალურ სიზმრის მასალასთან; ეს არის მწერლის წარმოსახვის ნაყოფი და იდეის გადმოცემის მხატვრული ხერხი. თუმცა ფსიქიკის ფუნქციონირების ძირითადი კანონები უნივერსალურია, ამიტომაც ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით ფსიქოლოგიური ფენომენების შესანიშნავ ილუსტრაციებს.

ალუდას ესიზმრება, რომ სხვებთან ერთად მიცვალებულს გლოვობს. ამ დროს ხევსურები სალაშქროდ არიან გამზადებულნი - ზოგი კართან დგას, რადგან წასვლის დრო ახლოვდება. ალუდა ემზადება მათთან ერთად წასასვლელად, თუმცა მოულოდნელად მას ვიღაც ხელს სტაცებს და ხანჯალს აძლევს; ეს მუცალია, რომელსაც ჯაჭვის პერანგზე ნატყვიარი ეტყობა. იგი კლდესავით მტკიცედ დგას და ალუდას ეხვეწება, მოკლას, რადგან სიკვდილი სურს, მაგრამ ვერ კვდება.

„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე კი წავიდე ქვეყნითა,
დაძეღით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა .

შემდგომ სცენაში ალუდა ზის და მას წინ ჯამი უდგას:

„დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,

კაცის ხორც იყო წვნიანი,
ვსჭამდი, მზარავდა თუმცაღა
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო,“ — რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული .
მიმატეს კაცის ულვაშით
წვენ-ხორცი შანელებული…“

მტრისთვის მარჯვენა ხელის მოკვეთის ტრადიცია ერთ-ერთი უძველესი და სასტიკი რიტუალი იყო. ეს ტრადიცია გვხვდებოდა როგორც კავკასიაში (მათ შორის საქართველოში), ისე ძველ ეგვიპტესა და სხვა მეომარ კულტურებში. ისტორიულად, მარჯვენა ხელის მოჭრა მტრის მოკვლისა და გამარჯვების ნივთიერი მტკიცებულება იყო. ძველ ეგვიპტეში ფარაონის ჯარისკაცებს ბრძოლის შემდეგ მოკლული მტრების მარჯვენა ხელები უნდა წარედგინათ. ამის მიხედვით ხდებოდა ნადავლის განაწილება და მეომრების დაჯილდოება. თავის მოკვეთასთან შედარებით, ხელების ტარება უფრო მარტივი იყო დიდი რაოდენობით დახოცილი მტრების აღრიცხვისას. საქართველოში, კერძოდ ხევსურეთში, "მკლავის მოჭრა" (ხელის მტევნის მოკვეთა) ვაჟკაცობის დასტურად ითვლებოდა. მოჭრილ ხელს ხშირად ციხე-კოშკის კედელზე აჭედებდნენ, რაც ოჯახისა და გვარის ძლიერების სიმბოლო იყო. რადგან მარჯვენა ხელი ადამიანის მთავარი იარაღია, მისი მოკვეთა სიმბოლურად ნიშნავდა ბრძოლისუნარიანობის წართმევას - თუ მტერი გადარჩებოდა, ის ვეღარასოდეს შეძლებდა ხმლის ან მშვილდის გამოყენებას. ამავდროულად ხელის მოკვეთა მტრის დამცირებისა და ღირსების შელახვის

გამომხატველი იყო. ზოგიერთ კულტურაში არსებობდა რწმენა, რომ დასახიჩრებული სხეულით სული საიქიოდანაც ვეღარ შეძლებდა შურისძიებას ან მშვიდად განსვენებას. პრაქტიკულად, ხელის მოჭრა მტერზე სრულ დომინაციას აღნიშნავდა.

Erich Neumann-ი, ანალიტიკური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი გამორჩეული ავტორი, თავის ნაშრომში „სიღრმის ფსიქოლოგია და ახალი ეთიკა (1949) ადამიანის ბუნებისა და მორალის ანალიტიკურ ხედვას გვთავაზობს.
ნოიმანი მიიჩნევდა, რომ კაცობრიობის კატასტროფები - ომები, გენოციდი და მასობრივი ძალადობა - „ძველი ეთიკის“ კრიზისის შედეგია. მისი აზრით, ძველი ეთიკა ეფუძნება ადამიანის დაყოფას აბსოლუტურ „კარგ“ და „ცუდ“ ნაწილებად, რაც ინდივიდს აიძულებს, საკუთარი ფსიქიკის მიუღებელი ასპექტები - აგრესია, ეგოიზმი, ძალაუფლების სურვილი, სექსუალობა - ჩრდილში განდევნოს. შემდეგ კი პროექციის სახით გამოვლენილი „მტერს“ მიაწეროს.

Neumann-ის მიხედვით, „ახალი ეთიკა იწყება არა ბოროტების უარყოფით ან მისი სხვაზე პროექციით, არამედ საკუთარი ჩრდილის გაცნობიერებით, პასუხისმგებლობის აღებით და შინაგანი დაპირისპირებულობის დატევით. ასეთ დროს ადამიანი ცდილობს არა საკუთარი „მაღალმორალურობისა და სიწმინდის“ ილუზიის შენარჩუნებას, არამედ ფსიქიკური მთლიანობისკენ მოძრაობას, სადაც სინათლეც და ჩრდილიც ადამიანის ბუნების განუყოფელ ნაწილებად აღიქმება.

ალუდას სიზმარი მხოლოდ მისი ინდივიდუალური შიდაფსიქიკური კონფლიქტის გამოხატულება არ არის; იგი ასევე შეიძლება გავიგოთ, როგორც თემის ჩრდილოვანი ასპექტების სიმბოლური გამოვლინება. რაც უფრო ძლიერად ცდილობს თემი საკუთარი ღირსების, წესრიგისა და „სიწმინდის“ დაცვას მკაცრი რიტუალებისა და მტრის დეჰუმანიზაციის გზით, მით უფრო ინტენსიურად იჩენს თავს მისი ჩრდილოვანი მხარე - აგრესია, სისასტიკე და ადამიანურობის დაკარგვის საფრთხე. ალუდას ქცევა-დამოკიდებულება მუცალის მიმართ და შემდგომ მისი სიზმარი

შეიძლება გავიგოთ, როგორც თემის ფსიქიკაში შემოჭრილი „სიმპტომი , რომელიც არსებულ წესრიგს არყევს და მის შინაგან წინააღმდეგობებს ააშკარავებს. ალუდას მოკვეთა და გაძევება განასახიერებს თემის მცდელობას, შეინარჩუნოს არსებული წესრიგი და დაიცვას ტრადიციული ნორმები, თუმცა ამავდროულად მიანიშნებს იმაზეც, რომ კონფლიქტი უკვე შემოიჭრა ცნობიერ სივრცეში, რაც შესაძლოა მომავალი ტრანსფორმაციის საფუძვლად იქცეს.

ამდენად, ინდივიდუალური სიზმარი იმ სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ ველსაც ეხმიანება, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს (Lawrence, 1998). სწორედ ამიტომ, სიზმრის კოლექტიურ სივრცეში გაზიარება და განხილვა ქმნის შესაძლებლობას, დავინახოთ ის ტენდენციები, რომლებიც ინდივიდუალური ინტერპრეტაციის ფარგლებში შესაძლოა უხილავი დარჩეს. სოციალური სიზმრის მატრიცაში სიზმარი თითქოს „თავისუფლდება“ ავტორისგან და ხდება საერთო მასალა, რომელზეც მონაწილეები ასოციაციებითა და ამპლიფიკაციით მუშაობენ. ამ პროცესში ყურადღება აღარ არის მიბმული იმაზე, თუ რას ნიშნავს სიზმარი ინდივიდისთვის; უფრო მნიშვნელოვანი ხდება ის, თუ რა ახალი მნიშვნელობები ყალიბდება სიზმრების ურთიერთდაკავშირების შედეგად (Lawrence, 1998).

სოციალური სიზმრის მატრიცა არ წარმოადგენს თერაპიულ მეთოდს ტრადიციული გაგებით. მისი მიზანი არ არის ინდივიდის კონფლიქტების გადაჭრა ან სიმპტომების ინტერპრეტაცია. პირიქით, ის ქმნის ანალიტიკურ სივრცეს - „კონტეინერს , სადაც შესაძლებელია კოლექტიური შფოთვების, ფარული დაძაბულობებისა და სოციალური პროცესების გამოხატვა და გაზიარება, რომლებიც ხშირად არაცნობიერ დონეზე მოქმედებს (Tavistock Institute of Human Relations, n.d.).

ამგვარად, სიზმრები შეიძლება აღვიქვათ როგორც სენსიტიური სისტემა, რომელიც რეაგირებს სოციალურ გარემოზე და გვაწვდის ინფორმაციას იმაზე, რაც ჯერ კიდევ სრულად არ არის გაცნობიერებული. სიზმრის სოციალურ ჭრილში

გადატანა არ ანაცვლებს ინდივიდუალურ სიზმარს, არამედ მას ახალ განზომილებას მატებს: სიზმარი ერთდროულად შეიძლება იყოს პირადი გამოცდილების გამოხატულება და კოლექტიური რეალობის ანარეკლი, ხოლო მისი სიღრმისეული გაგება სწორედ ამ ორი პერსპექტივის შეთავსებას მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვაჟა-ფშაველა. (2011). ალუდა ქეთელაური. რჩეული ნაწარმოებები. პალიტრა L. (1888)

Beradt, C. (1968). *The third reich of dreams: The nightmares of a nation* (A. G. Rabinbach, Trans.). Quadrangle Books. (Original work published 1966)

Jung, C. G. (1971). *General aspects of dream psychology*. In *Collected works of C. G. Jung* (Vol. 8, pp. 237–280). Princeton University Press. (Original work published 1925)

Jung, C. G. (1966). *Two essays on analytical psychology* (Collected Works Vol. 7). Princeton University Press.

Lang, F. (2017). Book review: *The Third Reich of Dreams: The Nightmares of a Nation, 1933–1939*. *Journal of the American Psychoanalytic Association, 65*(4), 742–750. https://doi.org/10.1177/0003065117728064

Lawrence, W. G. (2005). *Introduction to social dreaming: Transforming thinking*. Karnac Books.

Lawrence, W. G. (1998). *Social dreaming @ work*. Karnac Books.

Neumann, E. (1969). *Depth psychology and a new ethic*. Shambhala. (Original work published 1949)

Roesler, C. (2021). *Dreams and symbolism in the interpretation of dreams*. Routledge.

Roesler, C. (2025). *Dreams and dream interpretation: A contemporary introduction*. Routledge.

Tavistock Institute of Human Relations. (n.d.). *Social dreaming*. https://www.tavinstitute.org/social-dreaming

The Holy Bible, New International Version. (2011). Biblica. (Book of Daniel 4)